www.usma.ge

უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაცია
ASSOTIATION OF SECURITY RESEARCHERS

მისალმება საერთაშორისო პანელური დისკუსიის (ა.შ.შ. ნიუ იორკი 21.03.2024) მონაწილეებისადმი

მოგესალმებით, ფორდჰემის საერთაშორისო სამართლის ასოციაციის, ფორდჰემის სამართლის სკოლისა, საერთაშორისო სამართლისა და მართლმსაჯულების ლაიტერის ცენტრის ორგანიზებით დაგეგმილი (ა.შ.შ. ნიუ იორკი 21.03.2024) პანელური დისკუსიის მონაწილეებს.

დისკუსიის თემა ჩვენთვის ძალზე აქტუალურია: „საქართველოს მიერ წარმოებული საერთაშორისო დავების მნიშვნელობა და საქართველოს საერთაშორისო სტრატეგიული სამართალწარმოების პრაქტიკა".

ჩვენთვის (უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაცია უსმა/ASRS) საამაყოა, რომ ღონისძიებას ადმინისტრირებას უწევს ფორდჰემის საერთაშორისო სამართლის ასოციაციის პრეზიდენტი თინათინ ობოლაძე, რომელიც ამავდროულად უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი და საერთაშორისო მდივანია.

თინათინს საკმაო გამოცდილება დაუგროვდა დისკუსიის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებაში-2023 წელს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში წარსადგენი სამართლებრივი პოზიციისა და მტკიცებულებების მომზადებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის (2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაზარალებულთა კომპენსაციასთან დაკავშირებით) მადლობის სიგელი გადასცა. წარმატებული საქმიანობისათვის 2023 წელს თინათინ ობოლაძემ უსმა/asrs-ას პრესტიჟული პრიზი დაიმსახურა.

დარწმუნებული ვარ დაგეგმილი დისკუსიის პანელისტების, აგრეთვე სხვა მონაწილეების კომპეტენცია და გამოცდილება ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარების საწინდარია.

პატივისცემით,

„უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ („უსმა/ASRS“) თავმჯდომარე

ბესიკ ობოლაძე
Besik Oboladze

Greetings to the participants of the international panel discussion (USA,New York 21.03.2024)

To the participants of the panel discussion organized by Fordham International Law Association, Fordham Law School, Leiter Center for International Law and Justice (USA New York 21.03.2024).

The topic of discussion is very relevant for us: "The importance of international disputes brought by Georgia and the practice of international strategic litigation of Georgia".

We (Association of Security Researchers ASRS) are proud that the event is administered by Fordham International Law Association President Tinatin Oboladze, who at the same time is a member of the Presidium and International Secretary of the Association of Security Researchers.

Tinatin has accumulated considerable experience in relation to the issues included in the discussion agenda - in 2023, the Minister of Justice of Georgia presented a certificate of appreciation for her special contribution to the preparation of the legal position and evidence to be submitted to the European Court of Human Rights (regarding the compensation of victims during the 2008 Russia-Georgia war). In 2023, Tinatin Oboladze was awarded the prestigious prize of ASRS for her successful work.

I am sure that the competence and experience of the panelists of the planned discussion, as well as other participants, is a prerequisite for conducting the event at a high level.

Sincerely,

Association of Security Researchers (ASRS)
Chairman